

ცირკულარული ეკონომიკის პროგრამა საქართველოში

განათლების როლი ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარებასა და კლიმატის ცვლილებასთან გამკლავებაში

ცირკულარული ეკონომიკა წარმოებისა და მოხმარების მოდელია, რომელიც არსებული მასალებისა და საქონლის საზიარო სარგებლობას, იჯარას, მრავალჯერად გამოყენებას, შეკეთებას, სრულად განახლებას და გადამუშავებას ითვალისწინებს. ამ გზით ნაწარმის სასიცოცხლო ციკლი იზრდება. არსებითად, ეს ნარჩენების მინიმუმამდე შემცირებას გულისხმობს. ცირკულარული ეკონომიკა ეკონომიკური განვითარებისადმი სისტემური მიდგომაა, რომელსაც სარგებელი როგორც ბიზნესისთვის, ასევე საზოგადოებისა და გარემოსთვის მოაქვს. წრფივი „აიღე-დაამზადე-გადაადე“ მოდელისაგან განსხვავებით, ცირკულარული ეკონომიკა, თავისი არსით, აღდგენითი ხასიათისაა და მისი მიზანია განვითარება და სასრული რესურსების მოხმარება თანდათანობით ურთიერთგამიჯნოს. ცირკულარული განვითარება სოციალური და გარემოსდაცვითი კუთხით პასუხისმგებლიანი წარმოება-მოხმარების მოდელია, რომელიც მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბებას ცირკულარობის საფუძველზე ითვალისწინებს. აღნიშნულის მიზანია ქვეყნებისა და მთლიანად საზოგადოების ავტონომიურობის, მდგრადობისა და ბუნებრივი რესურსების პრობლემატიკასთან შესაბამისობის გაზრდა.

ამას გარდა, ცირკულარული ეკონომიკა კლიმატის ცვლილებასთან გასამკლავებლად ჩვენს მიერ მიმართულ ძალისხმევასთანაა კავშირში. განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების მეშვეობით კლიმატური ცვლილების გამომწვევი გაფრქვევების მხოლოდ დაახლოებით 30%-ით შემცირება შესაძლებელია, ხოლო დარჩენილი 70%-ის წყარო რესურსების მოხმარება და დამუშავებაა. ჩვენ სუფთა ენერჯიაზე გადასვლა გვჭირდება, თუმცა მხოლოდ ამით 2 გრადუსიან მრუდს შესამჩნევად ვერ ჩამოვცდებით. ეს ვერც მოხმარების მზარდ დონეებს და აქედან მომდინარე რესურსების სიმჭირის საკითხს მოაგვარებს.

სხვა სისტემური ცვლილებების მსგავსად, ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასასვლელად სისტემის რამდენიმე კომპონენტი ერთდროულად უნდა შეიცვალოს. ამისათვის დაინტერესებულ მხარეთა არმიის ერთობლივი მოქმედებაა საჭირო. ყველა დონის სამთავრობო უწყებებმა, ბიზნესსექტორმა, გამომგონებლებმა, აკადემიურმა სფერომ, ინვესტორებმა და მომხმარებლებმა ამ პროცესში მკაფიო როლი უნდა ითამაშონ და მას ხელი უნდა შეუწყონ. უნივერსიტეტებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს ცირკულარული ბიზნესების შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ. მათი მთავარი ამოცანა უნდა იყოს წარმატებით მოამზადონ სხვადასხვა დარგის ექსპერტები, რომელთაც დასაბუთებული, ინვესტიციებისთვის მიმზიდველი, განვითარების გრძელვადიან ხედვასა და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგიაზე მორგებული ცირკულარული ბიზნესმოდელებისა და პროექტების სწორად განსაზღვრა, კონცეფციის ჩამოყალიბება და დამუშავება შეეძლებათ. ამ ექსპერტებს პროექტების ეკონომიკური მომგებიანობისა და საინვესტიციო მიმზიდველობის თაობაზე რჩევების მოცემა და აღნიშნული მახასიათებლების გაუმჯობესება, ასევე მიწოდების ჯაჭვში ურთიერთთანამშრომლობის სქემების თვალნათლად წარმოჩენა შეეძლებათ, რათა ცირკულარობის პრინციპების გამოყენება სრულად მოხდეს და ცირკულარული

ბიზნესმოდელები საუკეთესო ვარიანტად იქცეს კომპანიებისათვის, რომლებიც მზად არიან კონკურენტული უპირატესობა იმგვარად მოიპოვონ და თავიანთი ბაზარი ისე შეინარჩუნონ, რომ მათი მიზნები საზოგადოებრივ მიზნებთან იყოს თანხვედრაში.

ცირკულარული ეკონომიკა მხოლოდ ერთეულთა პასუხისმგებლობას როდი განეკუთვნება. მდგრადი მომავლის შექმნაში მონაწილეობის უფლება ყველა ჩვენგანს აქვს. ცირკულარული ეკონომიკური განათლების მიზანი ცირკულარული ეკონომიკის საკითხების მცოდნე სპეციალური ექსპერტების მომზადება არ არის. ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებისა და საფუძვლების სიღრმისეული ცოდნა და ჩვენს პროფესიულ სფეროებში ცირკულარული გადაწყვეტილებების დანერგვა მომავალში ყველას დაგვჭირდება.

მიმდინარე პროგრამა, რომელსაც, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, საზოგადოებრივი ორგანიზაცია საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ ახორციელებს, მიზნად ისახავს ცირკულარული ეკონომიკის თაობაზე ცნობიერების ამაღლებას და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის რეკომენდაციების მიწოდებას. მე-6 კონფერენციამ, რომელიც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2022 წლის მარტში, საქართველოს უნივერსიტეტებისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის გაიმართა, დიდი ინტერესი გამოიწვია და მის შედეგად დაიწყო მსჯელობა, საგანმანათლებლო პროგრამებში ცირკულარობის პრინციპები რა სახით უნდა შევიდეს და სასწავლო პროგრამების მეშვეობით ცირკულარული ეკონომიკის საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება და ცნობიერების ამაღლება როგორ უნდა მოხდეს. უნივერსიტეტების მოთხოვნის გათვალისწინებით, პროგრამის ფარგლებში ორგანიზებული მე-8 კონფერენცია ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვისაა განკუთვნილი და, ძირითადი ინფორმაციის გარდა, მასზე მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ცირკულარობის პრინციპების დანერგვის პრაქტიკული მაგალითები იქნება წარმოდგენილი.